

შპს “აუდიტორული ფირმა FinLine”



27 სექტემბერი 2021 წ.

№ 12-ა

შპს „კვირის პალიტრი“-ს კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	8
სრული შემოსავლების ანგარიში	11
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	13
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	13
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	14
მმართველობის ანგარიშგება	27

შპს „კვირის პალიტრის“ მენეჯმენტს:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კვირის პალიტრის“ (კომპანია) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რაც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, აგრეთვე ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას. კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) დაყრდნობით.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად (ან უტყუარად და სამართლიანად) ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

განსაზღვრული შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს კომპანია ახორციელებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. შესაბამისად, მივიღეთ დოკუმენტაცია 2020 წლის ბოლოს განხორციელებულ ინვენტარიზაციებთან დაკავშირებით, მაგრამ რადგან აუდიტის პროცესი დაიწყო 2021 წელს, ბუნებრივია, რომ აუდიტორები ვერ დავესწარიტ 2020 წლის ბოლოს განხორციელებულ აღნიშნულ პროცესს. მოწოდებული დოკუმენტების მიმართ რწმუნების მოსაპოვებლად, ჩვენ დამატებით, შერჩევის გზით, 2021 წელს მოვახდინეთ სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა სახეობების მარაგების ინვენტარიზაცია. ამ პროცესშიც, მატერიალური ცდომილება არ გამოვლენილა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც. ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები არ შეიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების -ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი ცდომილებების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის (ISA) შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე, ჩვენ:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას.

- არსებითი ცდომილების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეულ უზუსტიბის რისკზე უფრო მაღალია, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვერკვევით კომპანიის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა და მოვახდინოთ აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კვირის პალიტრის“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ მომსახურება შევასრულეთ, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, (მგსს) 3000 (გადასინჯული). ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა სახის მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედნილია 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი: თამარ კოკელაძე
(რეგ. № SARAS-A-977853)

შპს „კვირის პალიტრის“ მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „კვირის პალიტრის“ მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთ აღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) დაცვით.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ფართო წრეებს, იმ პირებს რომლებსაც არ გააჩნიათ იმის უფლებამოსილება, რომ საწარმოს მოსთხოვონ მათ სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება და დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებას - მისთვის მიწოდებული რესურსების უნარიანი მართვის შედეგებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების ამორჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში კონტროლის ეფექტური და მყარი სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) - ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2021 წლის 27 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ოთარ მერაბიშვილი
27/09/2021
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
ლაშა ლომიძე
27/09/2021
თბილისი, საქართველო

კონსოლიდაციის გავლენა ფინანსური ანგარიშგებაზე

ბალანსის უწყისი	ინვესტიციების ელიმინაციები	შიდა ტრანზაქციები
აქტივები		
001. ფული და ფულადი სახსრები		
002. სასაქონლო მატერიალური მარაგები		
003. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(80,348)
004. გაცემული ავანსები		(32,943)
005. გაცემული სესხები		(3,503)
006. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
007. ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	(927,570)	
008. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		
009. ძირითადი საშუალებები		
010. არამატერიალური აქტივები		
011. გუდვილი		
012. მოგების გადასახადის აქტივი		
013. გადავადებული მოგების გადა. აქტივი		
014. სხვა საგადასახადო აქტივები		
015. სხვა აქტივები	-	-
სულ აქტივები	(927,570)	(116,795)
ვალდებულებები	-	-
016. სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		
017. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		80,348
018. მიღებული ავანსები		32,943
019. მოგების გადასახადის ვალდებულება		
020. გადავადებული მოგების გადას. ვალდებუ		
021. სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
022. აღებული სესხები		3,503
023. სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	0	116,795
საკუთარი კაპიტალი		
024. საწესდებო კაპიტალი		
025. სარეზერვო კაპიტალი		
026. გაუნაწილებელი მოგება	927,570	
027. მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		
028. არაკონტროლირებადი წილი		
სულ საკუთარი კაპიტალი	927,570	0

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი

ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე

შპს "კვირის პალიტრა"

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

დასახელება	ლარი	
	31.12.2020წ.	31.12.2019.წ
ამონაგები	46,909,626	55,181,194
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(25,205,031)	(28,456,681)
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		
გამოყენებული ნედლეული და მასალები		
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(8,290,128)	(9,687,316)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(1,322,911)	(1,781,735)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		
საკონსულტაციო ხარჯი	(29,993)	(45,865)
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი		
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(52,752)	(129,062)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(1,330,901)	(1,773,563)
იჯარის ხარჯი	(5,091,730)	(5,681,463)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	(778,090)	(835,225)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,423,565)	(1,168,533)
საოპერაციო მოგება	3,384,525	5,621,751
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
გაცემულ სესხებზე		
სავაჭრო მოთხოვნებზე		
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე		
სხვა ფინანსურ აქტივებზე		
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(383,552)	(339,002)
სხვა ფინანსური შემოსავალი (საპროცენტო შემოსავალი)	767,240	2,682,559
სხვა ფინანსური ხარჯი	(1,349,282)	(1,481,451)
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან		
მიღებული დივიდენდები		
შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან (უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები და მატერიალური მარაგები		
შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან (უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები და მატერიალური მარაგები		
შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან (უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები და მატერიალური მარაგები		
არასაოპერაციო შემოსავალი-უსასყიდლოდ მიწოდებიდან		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2,418,931	6,483,857
მოგების გადასახადი	(41,404)	(84,276)

მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	2,377,527	6,399,581
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	2,377,527	6,399,581
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2,377,527	6,399,581

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი

ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე

გავლენა მოგება-ზარალის უწყისზე

შიდა ტრანზაქციების ელიმინაციები

დასახელება	2020
საოპერაციო შემოსავლები	(526,332)
თვითღირებულების ხარჯები	426,365
ხელფასის ხარჯი	80,552
კომერციული ხარჯი	19,415
ჯამი:	0

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი

ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე

შპს "კვირის პალიტრა"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

დასახელება	ლარი	
	31.12.2020წ.	31.12.2019წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,750,667	227,453
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,622,759)	(3,043,408)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,617,496)	3,801,606
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	510,412	985,652
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	2,422,488	1,436,836
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,932,900	2,422,488

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი

ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე

შპს "კვირის პალიტრა"

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	მიღება	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
საწესდებო კაპიტალი	1,227,783			1,227,783
გაუნაწილებელი მოგება	10,737,652			16,480,288
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	5,742,636			1,743,998
არამაკონტროლირებადი წილი	656,945	633,530		1,290,475
დივიდენდი	-		(778,725)	(778,725)
სხვა რეზერვები	-			-
სულ კაპიტალი	18,365,016			19,963,818

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
ოთარი მერაბიშვილი

ფინანსური დირექტორი
ლაშა ლომიძე

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანიის საფირმო სახელწოდება: შპს კვირის პალიტრა, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 211326224, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5ა/4-449; 23/07/1996, მარეგისტრირებელი ორგანო: საბურთალოს რაიონის სასამართლო იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, იოსებძის ქ., №49 დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: info@kvirispalitra.ge

დირექტორი - 47001041427 ოთარი მერაბიშვილი

მესაკუთრეები : ზაზა ბუაძე (პ/ნ01001016801) 25.00% ; ირაკლი თევდორაშვილი (პ/ნ 01024018461) , 75.00%

- კოლორი 41,4% - სტამბა „კოლორი“ დაარსდა 1992 წელს. ბეჭდავს: ჟურნალებს, გაზეთებს, წიგნებს, რვეულებს და სხვა. წარმოებაში დანერგილია როტაციული და ფურცლოვანი დანადგარებით ბეჭდვა. სტამბა „კოლორის“ დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები და ფიზიკური პირები.
- კოლორი 100%-იან წილებს ფლობს კოლორპაკში, კოლორპრესში, 75%-იან წილს ეკოპეიპერში, 24,5%-იან წილს ფლობს სპს-ში „კონსორციუმი - ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი“;
- ბიბლუსი 80% - წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“, დაარსდა 2008 წლის 23 მაისს. რომელიც წარმოდგენილია წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების საცალო გაყიდვების ქსელით, მთელი საქართველოს მასშტაბით.
- ბიბლუსი ფლობს 100%-იან წილს შპს ბიბლუსი კო-ში, რომელიც ახორციელებს საკანცელარიო საქონლით საბითუმო ვაჭრობას, ასევე 100%-იან წილს ფლობს შპს პეპელაში და 2019 წლის ოქტომბერში შეიძინა შპს ანვოლ კავკასია-ს 100%-იან წილი.
- ფასადი 41,4% - მეიჯარე კომპანია, რომელიც იჯარით გასცემს ფართებს.
- რემენალ სოლუმენს 90% - იგივე ჰოთსელი, ფასდაკლებების ვებ პორტალი.
- კვირის პალიტრა 15%-იან წილს ფლობს შპს ახალ ამბებში - IPN. ახალი ამბების 15% ფლობს ნიუსრუმი, რომლის 100%-იანი მეწილე კვირის პალიტრაა და რომლის შემადგელობაში შედის amgebi.ge, lelo.ge, mkurnali.ge, mshoblebi.ge და ა.შ. ნიუსრუმი საქმე.ჯი-ს 80%-ის და ონლაინ თიქეტის 10%-ის მფლობელია.
- პრინტარეა 47,5%. პრინტარეა 2010 წლიდან სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას უწევს მომხმარებლებს: ონლაინ, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა, პრომო მასალების ბრენდირება, გრავირება, ტექსტილზე ბეჭდვა, მყარ ზედაპირზე ბეჭდვა და კრეატიული დიზაინი.
- ინტელიჯენტ მედია 50% - ცნობილი როგორც ჟუნალი OK. საქმიანობის კატეგორიებია მასმედია, რეკლამა და პოლიგრაფია. საქმიანობის სფერო -გამომცემლობები, ჟურნალები, ინტერნეტ-პრესა.

1995 წელის 18 აპრილს გამოვიდა გაზეთ “კვირის პალიტრის” პირველი ნომერი.

დღესდღეობით „კვირის პალიტრა“ აერთიანებს 2 პერიოდულ გაზეთს და 12 პერიოდულ ჟურნალს. შპს „კვირის პალიტრის“ სარედაქციო გუნდი საზოგადოების ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ქმნის ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და გასართობი ინფორმაციის მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობებს

2. კომპანიის საოპერაციო და ბიზნეს გარემო

კომპანია ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმართავს საქართველოში. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ართულებს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს - ან საერთოდ მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას - კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ბიზნეს გარემო საკმაოდ ჯანსაღია კომპანია მუდმივად ზრუნავს პირველობაზე, ცდილობს იყოს ყოველთვის ინოვაციური, ხელმისაწვდომი ყველგან, მთელ საქართველოში საუკეთესო ფასით. კომპანიის ძირითადი ბაზარი საქართველოშია. კონკრეტულად, მისი პროდუქცია წარმოდგენილია წიგნის მაღაზიებში, საკანცელარიო და სათამაშოების მაღაზიებში, სუპერმარკეტებში, ქსელურ მაღაზიებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბიბლიოთეკებში.

კომპანიისთვის ასევე საინტერესოა საერთაშორისო ბაზარი, სადაც ის წარადგენს თავის უნიკალურ, ინოვაციურ პროექტებს და ქართველ მწერლებს, რათა ქართული წიგნების თარგმნა და უცხოეთში გამოცემა მოხდეს სხვადასხვა ქვეყნებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის“ (IFRS for SMEs) მიხედვით.

აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 31 დეკემბერი. კომპანიის ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდისათვის ეფექტურ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი არ გამორიცხავს ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებების საჭიროების წარმოქმნის შესაძლებლობას.

მენეჯმენტი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის არ შეიცავს შესაძარ ფინანსურ ინფორმაციას, რამდენადაც კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ შეღავათს, „სარეკომენდაციო მითითებას ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“. აღნიშნული შეთავაზი მდგომარეობს შემდეგში:

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, ისტორიული ღირებულება დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოთ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება ის თანხაა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად, ჩვეულებრივი გარიგების პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღისათვის.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები ჩაიწერება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაყვანა ანგარიშის პერიოდისთვის ხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.2766	2.8661
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2143

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში, ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მატარებელია. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია დეტალურად აანალიზებს სავაჭრო მოთხოვნებს, და მენეჯმენტის უშუალო ჩართულობით, ერთიანი შემუშავებული ფორმით ახდენს ფინანსური რეზერვის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრას.

პირველ რიგში თითოეულ სავაჭრო მოთხოვნაზე ხდება იმის ინდივიდუალური ანალიზი, ხომ არ არსებობს რწმუნება, რომ კომპანია არსებულ დავალიანებას საერთოდ ვერ დაფარავს. ამ შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნა დარეზერვდება 100 %-ით.

ასევე ფასდება, ხომ არ არის დავალიანების რაიმე ნაწილი, რომელსაც კლიენტი არ ეთანხმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნაწილი დარეზერვდება ასევე 100% -ით, ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოთხოვნების დღეების მიხედვით ჩაშლა ამ პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით დარეზერვებას:

< 30 დღე	< 45 დღე	< 60 დღე	< 90 დღე	< 180 დღე	< 360 დღე	> 360 დღე
0%	1%	2%	5%	10%	50%	100%

თუ არსებობს კომპანიის მენეჯმენტის არგუმენტირებული რწმენა, რომ დავალიანება აუცილებლად სრულად დაიფარება, მაშინ ასეთ კონკრეტულ კლიენტზე რეზერვი აღარ შეიქმნება. ასევე, მენეჯმენტის რწმუნებითა და არგუმენტირებით, შესაძლებელია კონკრეტულ დებიტორულ დავალიანებაზე რეზერვის ინდივიდუალური წესით განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მისი მოხდენისთანავე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანია მფლობელობაშია მიწა და შენობა-ნაგებობა.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს წრფივ მეთოდს, რათა მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებები იყოფა 8 სხვადასხვა ჯგუფად და თითოეულ ჯგუფზე განსაზღვრულია ცვეთისათვის წლების რაოდენობა:

1	საოფისე ავეჯი	7-10 წელი
2	კომპ. ტექნიკა	5-7 წელი
3	მანქანა-დანადგარები	10-20 წელი
4	ტრანსპორტი	5-10 წელი
5	შენობა-ნაგებობები	35-50 წელი
6	არამატერიალური აქტივი	10 წელი
7	საოფისე ტექნიკა	5-7 წელი
8	სხვა ინვენტარი	3-7 წელი

ნარჩენი ღირებულება ის სავარაუდო ღირებულებაა, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდის გადახედვა ხდება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლება.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებად აკლასიფიცირებს აქტივებს (მიწა; შენობები; ან შენობის ნაწილი; ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს და იყენებს საიჯარო შემოსავლების მიღების ან მისი საბაზრო ღირებულების პოტენციური ზრდის გამო, ან ორივე მიზნით. გარდა ისეთი მიზნებისა, როდესაც გამოიყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის, და საქმიანობის სფეროში სხვა მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემენილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და უშუალოდ მიკუთვნებად ნებისმიერ დანახარჯებს.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება შეფასებულია თვითღირებულების მოდელით, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება ბასს 16 -ის „ძირითადი საშუალებები“ მოთხოვნების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა

მიწა

არ ერიხება ცვეთა

შენობა

35

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მაშინ, თუ მოხდა ქონების გასვლა ან შეწყდა მისი ამ მიზნით გამოყენება და ამის გამო მოსალოდნელი აღარ იქნება ეკონომიკური სარგებელის მიღება. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება

როგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და მოხდება სხვაობის აღიარება მოგება-ზარალში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომსავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (მიღებული და გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) ან მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხების აღრიცხვა

კომპანიას მიერ გაცემული სესხზე, შემდეგი ორი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში, კომპანია შეაჩერებს პროცენტის დარიცხვას:

- ა) 1 წლის განმავლობაში არ მომხდარა არც პროცენტის, არც ძირითადი თანხის მიღება (როდესაც ეს შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული იყო)
- ბ) არსებობს მენეჯმენტის შეფასება, რომ ვერ მოხდება გაცემული სესხის მიღება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივი. საიჯარო ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და აღირიცხება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.,

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას

კომპანია, როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება ესტონური მეთოდის შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

კომპანიაში სასაქონლო მატერიალური მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს წიგნებს, მარაგების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით., უწყვეტი აღრიცხვის გზით.

თუ მოხდა მარაგების გაუფასურება, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, მაგრამ თუ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანახმაა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და ყოველგვარი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძენის სერვისის მიღება დასაქმებულთა მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

5, ძირითადი საშუალებები

პერიოდი	შპს ბიბლუსი (ჯგუფი)	შპს კვირის პალიტრა	შპს ნიუს რუმი	შპს რეშენალ სოლუმენს	შპს საქმე-ჯი	ჯამი
31/12/2020	8,194,385	500,827	85,135	133	8,968	8,783,710

6. სასაქონლო მატ. მარაგები

პერიოდი	შპს ბიბლუსი (ჯგუფი)	შპს კვირის პალიტრა	შპს ნიუს რუმი	შპს რეშენალ სოლუმენს	შპს საქმე-ჯი	ჯამი
31/12/2020	17,895,902	338,768	3,381	58,775		18,296,826

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

პერიოდი	შპს ბიბლუსი (ჯგუფი)	შპს კვირის პალიტრა	შპს ნიუს რუმი	შპს რეშენალ სოლუმენს	შპს საქმე-ჯი	ჯამი
31/12/2020	4,081,351	2,016,145	2,129,006	36,049	93,240	8,139,026

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

პერიოდი	შპს ბიბლუსი (ჯგუფი)	შპს კვირის პალიტრა	შპს ნიუს რუმი	შპს რეშენალ სოლუმენს	შპს საქმე-ჯი	ჯამი
31/12/2020	15,359,093	2,449,760	20,434	173,902	6,305	17,792,731

9. მიღებული სესხი

პერიოდი	შპს ბიბლუსი (ჯგუფი)	შპს კვირის პალიტრა	შპს ნიუს რუმი	შპს რეშენალ სოლუმენს	შპს საქმე-ჯი	ჯამი
31/12/2020	13,611,741			400,928		14,012,669

10. საოპერაციო შემოსავალი

პერიოდი	შპს ბიბლუსი (ჯგუფი)	შპს კვირის პალიტრა	შპს ნიუს რუმი	შპს რეშენალ სოლუმენს	შპს საქმე-ჯი	ჯამი
31/12/2020	38,568,513	4,318,959	2,621,919	1,065,424	861,143	47,435,958

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

11. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

12. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს

კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

13. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. ნასესხები საშუალებების სავარაუდო რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-14 შენიშვნაში.

14. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით ("FVთPL"). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი

ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე



კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შპს „კვირის პალიტრა“

2020 წელი

ისტორია, დამფუძნებლები, მმართველობა

შპს „კვირის პალიტრა“ დაფუძნდა 1995 წელს. 18 აპრილს გამოვიდა გაზეთ „კვირის პალიტრის“ პირველი ნომერი.

დღესდღეობით „კვირის პალიტრა“ აერთიანებს 2 პერიოდულ გაზეთს და 12 პერიოდულ ჟურნალს. შპს „კვირის პალიტრის“ სარედაქციო გუნდი საზოგადოების ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ქმნის ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და გასართობი ინფორმაციის მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობებს

ორგანიზაციის მართვას ახორციელებს დამფუძნებლების მიერ დანიშნული დირექტორი.

ორგანიზაციის მფლობელები არიან:

ირაკლი თევდორაშვილი	75 %
ზაზა ბუაძე	25 %

2020 წლის განვითარების შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდური მედიის ბაზარი წლიდან წლამდე მცირდება, უფრო მძლავრად შემოდის ინტერნეტის როლი საზოგადოებაში, „კვირის პალიტრა“ ახერხებს შეინარჩუნოს ლოიალური მომხმარებელი.

სხვადასხვა სადისტრიბუციო არხის გამოყენებით, კვირის პალიტრის ყველა გამოცემა წარმოდგენილია საქართველოს ყველა ქალაქსა, თუ სოფელში.

ბეჭდური მედიის გარდა 2020 წელს კვირის პალიტრამ რამოდენიმე სერიული წიგნი შესთავაზა მკითხველს.

სუბიექტის ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე

შპს „კვირის პალიტრას“ ლიდერის პოზიცია უკავია ბეჭდურ მედიაში, „კვირის პალიტრის“ ჯგუფის ჟურნალ-გაზეთები თითქმის მთელ საქართველოში ვრცელდება. გაყიდვის არხები ფარავს როგორც ჰიპერმარკეტებს და სუპერმარკეტებს, ასევე საცალო გაყიდვის ობიექტებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებს.

საქმომედო ბაზრის წილების გადანაწილება:

55 % - თბილისი

45% - რეგიონები

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში რამდენიმე მსხვილი პრესის სადისტრიბუციო ხაზია შექმნილი, რომელიც ყოველდღიურად უზრუნველყოფს პროდუქტის მთელი საქართველოს მაშტაბით მიწოდება-გავრცელებას.

ინფორმაცია მოსალოდნელი განვითარების შესახებ


აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა კვირის პალიტრასა და სხვადასხვა გამომცემლობებთან, ამ თანამშრომლობის შედეგად გამოიცემა და მომავალშიც გაგრძელდება არაერთი სერიული წიგნის გამოცემა, რომელიც ვრცელდება ბეჭდურ მედიასთან ერთად და ხელს უწყობს ბეჭდური მედიის გაყიდვებს, ასევე მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის წიგნს საქართველოს ყველა კუთხეში.

ასევე კონცენტრაცია კეთდება საბავშვო გამოცემაზე „კარუსელი“, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას.

პროდუქციის რეალიზება ხდება როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტებით, ასევე ყოველთვიური გამოწერით. ამ სერვისით სარგებლობისას ნებისმიერ გამოცემას კურიერი მომხმარებელს აწვდის მისთვის სასურველ ადგილას.

ასევე მნიშვნელოვანია ზრდა სარეკლამო გაყიდვების მიმართულებით. მიუხედავად ბაზარზე ბეჭდური მედიის წილის შემცირებისა „კვირის პალიტრის“ თითოეული გამოცემა სარეკლამო გაყიდვებში სტაბილურობას ინარჩუნებს. შესაბამისად მომდევნო წლების გამოწვევაა ამ პოზიციების შენარჩუნება და კიდევ უფრო გაზრდა.


თანამშრომელთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით



ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ზოგადად ბეჭდური მედია არამარტო საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიო მასშტაბით ძალიან დიდი გამოწვევების წინაშეა, ოცდამეერთე საუკუნემ მოგვიტანა ინფორმაციის მიწოდების ყოველწუთიერი და წამიერი საშუალებები და შექმნა „ციფრული სამყარო“. ონლაინ პორტალის წარმოება გაცილებით მარტივია და ნაკლებ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. სწორედ ამ გამოწვევის წინაშე დგას კვირის პალიტრის სხვადასხვა გამოცემის სარედაქციო ჯგუფი.

კვირის პალიტრის შვილობილი და ასოცირებული კომპანიები სტრუქტურა



შპს კვირის პალიტრა ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- კოლორი 41,4% - სტამბა „კოლორი“ დაარსდა 1992 წელს. ბეჭდავს: ჟურნალებს, გაზეთებს, წიგნებს, რვეულებს და სხვა. წარმოებაში დანერგილია როტაციული და

ფურცლოვანი დანადგარებით ბეჭდვა. სტამბა „კოლორის“ დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები და ფიზიკური პირები.

- კოლორი 100%-იან წილებს ფლობს კოლორპაკში, კოლორპრესში, 75%-იან წილს ეკოპეიპერში, 24,5%-იან წილს ფლობს სპს-ში „კონსორციუმი - ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი“;
- ბიბლუსი 80% - წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“, დაარსდა 2008 წლის 23 მაისს. რომელიც წარმოდგენილია წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების საცალო გაყიდვების ქსელით, მთელი საქართველოს მასშტაბით.
- ბიბლუსი ფლობს 100%-იან წილს შპს ბიბლუსი კო-ში, რომელიც ახორციელებს საკანცელარიო საქონლით საბითუმო ვაჭრობას, ასევე 100%-იან წილს ფლობს შპს პეპელაში და 2019 წლის ოქტომბერში შეიძინა შპს ანვოლ კავკასია-ს 100%-იან წილი.
- ფასადი 41,4% - მეიჯარე კომპანია, რომელიც იჯარით გასცემს ფართებს.
- რემენალ სოლუმენს 90% - იგივე ჰოთსელი, ფასდაკლებების ვებ პორტალი.
- კვირის პალიტრა 15%-იან წილს ფლობს შპს ახალ ამბებში - IPN. ახალი ამბების 15% ფლობს ნიუსრუმი, რომლის 100%-იანი მეწილე კვირის პალიტრაა და რომლის შემადგელობაში შედის amgebi.ge, lelo.ge, mkurnali.ge, mshoblebi.ge და ა.შ. ნიუსრუმი საქმე.ჯი-ს 85%-ის და ონლაინ თიქეტის 10%-ის მფლობელია.
- პრინტარეა 47,5%. პრინტარეა 2010 წლიდან სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას უწევს მომხმარებლებს: ონლაინ, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა, პრომო მასალების ბრენდირება, გრავირება, ტექსტილზე ბეჭდვა, მყარ ზედაპირზე ბეჭდვა და კრეატიული დიზაინი.
- ინტელიჯენტ მედია 50% - ცნობილი როგორც ჟუნალი OK. საქმიანობის კატეგორიებია მასმედია, რეკლამა და პოლიგრაფია. საქმიანობის სფერო -გამომცემლობები, ჟურნალები, ინტერნეტ-პრესა.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2020
წმინდა მოგება/შემოსავალი	5.07%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	39.79%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	4.62%
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	12.41%

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი ოთარი მერაბიშვილი

2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხდენილია 2020 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი: თამარ კოკელაძე
(რეგ. № SARAS-A-977853)




- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2021 წლის 27 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
ოთარ მერაბიშვილი
27/09/2021

თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
ლაშა ლომიძე
27/09/2021

თბილისი, საქართველო

კონსოლიდაციის გავლენა ფინანსური ანგარიშგებაზე

ბალანსის უწყისი	ინვესტიციების ელიმინაციები	შიდა ტრანზაქციები
აქტივები		
001. ფული და ფულადი სახსრები		
002. სასაქონლო მატერიალური მარაგები		
003. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(80,348)
004. გაცემული ავანსები		(32,943)
005. გაცემული სესხები		(3,503)
006. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
007. ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	(927,570)	
008. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		
009. ძირითადი საშუალებები		
010. არამატერიალური აქტივები		
011. გუდვილი		
012. მოგების გადასახადის აქტივი		
013. გადავადებული მოგების გადა. აქტივი		
014. სხვა საგადასახადო აქტივები		
015. სხვა აქტივები	-	-
სულ აქტივები	(927,570)	(116,795)
ვალდებულებები	-	-
016. სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		
017. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		80,348
018. მიღებული ავანსები		32,943
019. მოგების გადასახადის ვალდებულება		
020. გადავადებული მოგების გადას. ვალდებუ		
021. სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
022. აღებული სესხები		3,503
023. სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	0	116,795
საკუთარი კაპიტალი		
024. საწესდებო კაპიტალი		
025. სარეზერვო კაპიტალი		
026. გაუნაწილებელი მოგება	927,570	
027. მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		
028. არაკონტროლირებადი წილი		
სულ საკუთარი კაპიტალი	927,570	0

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
ოთარი მერაბიშვილი


ფინანსური დირექტორი
ლამა ლომიძე

მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	2,377,527	6,399,581
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	2,377,527	6,399,581
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2,377,527	6,399,581

ხელმომწერი პირები:


დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი



ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე



გავლენა მოგება-ზარალის უწყისზე


შიდა ტრანზაქციების ელიმინაციები

დასახელება	2020
საოპერაციო შემოსავლები	(526,332)
თვითღირებულების ხარჯები	426,365
ხელფასის ხარჯი	80,552
კომერციული ხარჯი	19,415
ჯამი:	0

ხელმომწერი პირები:


დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი



ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე



შპს "კვირის პალიტრა"


ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

დასახელება	ლარი	
	31.12.2020წ.	31.12.2019.წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,750,667	227,453
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,622,759)	(3,043,408)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,617,496)	3,801,606
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	510,412	985,652
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	2,422,488	1,436,836
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,932,900	2,422,488

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი



ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე



შპს "კვირის პალიტრა"

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება


ლარი

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	მიღება	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
საწესდებო კაპიტალი	1,227,783			1,227,783
გაუნაწილებელი მოგება	10,737,652			16,480,288
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	5,742,636			1,743,998
არამაკონტროლირებადი წილი	656,945	633,530		1,290,475
დივიდენდი	-		(778,725)	(778,725)
სხვა რეზერვები	-			-
სულ კაპიტალი	18,365,016			19,963,818

ხელმომწერი პირები:


დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი



ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე




შეფასების მიზნით ბასს 39-ში, ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით ("FVთPL"). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი



ფინანსური დირექტორი

ლაშა ლომიძე



ფურცლოვანი დანადგარებით ბეჭდება. სტამბა „კოლორის“ დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები და ფიზიკური პირები.

- კოლორი 100%-იან წილებს ფლობს კოლორპაკში, კოლორპრესში, 75%-იან წილს ეკოპეიპერში, 24,5%-იან წილს ფლობს სპს-ში „კონსორციუმი - ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი“;
- ბიბლუსი 80% - წიგნის შაბაზიათა ქსელი „ბიბლუსი“, დაარსდა 2008 წლის 23 მაისს. რომელიც წარმოდგენილია წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების საცალო გაყიდვების ქსელით, მთელი საქართველოს მასშტაბით.
- ბიბლუსი ფლობს 100%-იან წილს შპს ბიბლუსი კო-ში, რომელიც ახორციელებს საკანცელარიო საქონლით საბითუმო ვაჭრობას, ასევე 100%-იან წილს ფლობს შპს პეპელაში და 2019 წლის ოქტომბერში შეიძინა შპს ანვოლ კავკასია-ს 100%-იან წილი.
- ფასადი 41,4% - მეიჯარე კომპანია, რომელიც იჯარით გასცემს ფართებს.
- რეშენალ სოლუშენს 90% - იგივე ჰოთსელი, ფასდაკლებების ვებ პორტალი.
- კვირის პალიტრა 15%-იან წილს ფლობს შპს ახალ ამბებში - IPN. ახალი ამბების 15% ფლობს ნიუსრუმი, რომლის 100%-იანი მეწილე კვირის პალიტრაა და რომლის შემადგელობაში შედის amgebi.ge, lelo.ge, mkurnali.ge, mshoblebi.ge და ა.შ. ნიუსრუმი საქმე.ჯი-ს 85%-ის და ონლაინ თიქეტსის 10%-ის მფლობელია.
- პრინტარეა 47,5%. პრინტარეა 2010 წლიდან სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას უწევს მომხმარებლებს: ონლაინ, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა, პრომო მასალების ბრენდირება, გრავირება, ტექსტილზე ბეჭდვა, მყარ ზედაპირზე ბეჭდვა და კრეატიული დიზაინი.
- ინტელიჯენტ მედია 50% - ცნობილი როგორც ჟუნალი OK. საქმიანობის კატეგორიებია მასმედია, რეკლამა და პოლიგრაფია. საქმიანობის სფერო -გამომცემლობები, ჟურნალები, ინტერნეტ-პრესა.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2020
წმინდა მოგება/შემოსავალი	5.07%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	39.79%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	4.62%
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	12.41%

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ოთარი მერაბიშვილი

